<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წინანდლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ძმები ყურაშვილების სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, წინანდლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ძმები ყურაშვილების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


1:1,250
X=485662 Y=4615217
ძმები ყურაშვილების ქ.
X=485927 Y=4615215

ძმები ყურაშვილები

ყურაშვილების გვარის მატარებელი ხუთივე ძმა ფილიმონი, ბორისი, ალექსი, მელენტი და ვიტალი იყვნენ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები. პროფესორები და აკადემიკოსები. მათ მინიჭებული ჰქონდათ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებები და სახელმწიფოს მიერ დაჯილდოებული იყვნენ სხვადასხვა მედლებითა და ორდენებით. საგულისხმოა, რომ ხუთივე მათგანი მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში და მათ პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე. ასევე ძმებმა ყურაშვილებმა აღზარდეს ახალგაზრდა ექიმთა მრავალი თაობა.

ძმები ყურაშვილების მოღვაწეობა ქვეყნის საკეთილდღეოდ უანგაროდ გაწეული შრომის ნათელი მაგალითია.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია ,საქართველო, თბილისი,ჩაჩავას ქ.№1
Georgian Academy of Medical Sciences,Chachava ,str.№1, Tbilisi,Georgia
kheladze@gmail.com

№ 20 2019 8.10

ქ.თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია შუამდგომლობს თქვენს წინაშე,რომ ქ.თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიანიჭოთ ძმები ყურაშვილების სახელი.საქმე ის არის,რომ ყურშვილების გვარის მატარებელი ხუთივე ძმა,სახელდობრ ფილიმონი, ბორისი, ალექსი,მელენტი და ვიტალი იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი და აკადემიკოსი.მათ მინიჭებული ჰქონდათ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება და სახელმწიფოს მიერ დაჯილდოებული იყვნენ სხვადასხვა მედლებითა და ორდენებით. საგულისხმოა,რომ ხუთივე მათგანი მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში და მათ პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე.ასევე ძმებმა ყურაშვილებმა აღზარდეს ახალგაზრდა ექიმთა მრავალი თაობა,რომლებიც დღესაც ღირსეულად აგრძელებენ თავიანთი მასწავლებლების მიერ დაწყებულ საქმეს.აქედან გამომდინარე საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია მიიჩნევს,რომ ძმები ყურაშვილების მოღვაწეობა ქვეყნის საკეთილდღეოდ უანგაროდ წარმოებული შრომის ნათელი მაგალითია და ისინი ნამდვილად იმსახურებენ თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის თავიანთი სახელის მინიჭებას.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათ
პრეზიდენტი, აკადემიკოსი რამაზ ხ

საქართველოს მედიცინის მეცნიერებ
ვიცე-პრეზიდენტი,აკადემიკოსი ზურაბ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032122367**
თარიღი: **11/08/2021**
პინი: **8080**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს რამაზ ხეცურიანის და ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს ზურაბ ხელაძის 2019 წლის 10 ოქტომბრის საქმე #10/031929024-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ძმები ყურაშვილების სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ძმები ყურაშვილების ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი).

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0121236107**
თარიღი: **24/08/2021**
პინი: **3351**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 11.08.2021 წლის #03-032122367 (11.08.2021წ. #14-01212232058-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ოთარ ჩიტაძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მელენტი ყურაშვილი
(1915-2004)

ექიმი-ჰიგიენისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი 1940 წელს. 1940-1946წწ. იყო საბჭოთა არმიის სხვადასხვა შენაერთების უფროსი ექიმი; 1947-1973წწ. თბილისის შრომის ჰიგიენის დაავადებათა ინსტიტუტის შრომის ჰიგიენის განყოფილების გამგე; 1971-1973წწ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შრომის ჰიგიენის კურსის დოცენტი; 1974-1991წწ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის შრომის ჰიგიენისა და პროფესიულ დაავადებათა კათედრის გამგე; 1991 წლიდან ამავე კათედრის პროფესორი. ავტორია 135 სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეხება პროფესიული ჰიგიენის აქტუალურ საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები: "უსაფრთხოების წესები შახტებში მომუშავეთათვის, "მეტეოროლოგიური პირობების ჰიგიენური დახასიათება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში", "ჩაისა და ციტრუსების ფუმოგაციაზე მომუშავეთა ციანოვანი შენაერთებით მოწამვლის კლინიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა", "რა უნდა იცოდეს ცხელი საამქროს მუშამ შრომის ჰიგიენაში", "მეთოდური სახელმძღვანელო შრომის ჰიგიენაში". მისი ხელმძღვანელობით დაცულია 8 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია. ექიმი-ჰიგიენისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საკანდიდატო დისერტაციის თემა - Эმეტეოროლოგიური პირობებისა და სასმელი რეჟიმის ჰიგიენური დახასიათება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაშიЭ, დაიცვა 1958 წელს.

სადოქტორო დისერტაციის თემა - Эამიერკავკასიის შავი მეტალურგიის საწარმოების ცხელი საამქროების მიკროკლიმატის ჰიგიენის ძირითადი საკითხებიЭ, დაიცვა 1970 წელს.

ვიტალი ყურაშვილი
((1920-2015)
აკადემიკოსი, ვირუსოლოგი, ეპიდემიოლოგი, მიკრობიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

1942 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. იმავე წელს წავიდა ფრონტზე. 1948 წელს, საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზაციის შემდეგ, ასპირანტურა გაიარა ლენინგრადის სამედიცინო ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა იქვე, ვირუსოლოგიის განყოფილებაში. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1966 წელს კი – სადოქტორო დისერტაცია. მისი ხელმძღვანელი და გზამკვლევია ა. სმოროდინცევი – საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში ვირუსოლოგიის განყოფილების თავკაცი, ლენინისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ანტივირუსული იმუნიტეტის პრობლემის წამყვანი სპეციალისტი, მრავალი ეფექტური პრეპარატის ავტორი.

1954 წელს ვიტალი ყურაშვილმა თბილისში ვაქცინებისა და შრატების საკავშირო სამეცნიერო–კვლევით ინსტიტუტში გახსნა პირველი ვირუსოლოგიური ლაბორატორია საქართველოში. იგი იყო ვირუსოლოგიური კვლევის ფუძემდებელი რესპუბლიკაში. მისი მეცნიერული კვლევა მოიცავს ეპიდემიოლოგიის, ინფექციური პათოლოგიის, კლინიკის, იმუნოლოგიის, მიკროორგანიზმთა გენეტიკისა და სხვა საკითხებს.

ავტორია 120 სამეცნიერო ნაშრომისა გრიპის, იმუნოლოგიის, ეპიდემიოლოგიის, პოლიომელიტის, ეპიდემიოლოგიის პროფილაქტიკის, მართვადი ინფექციების პროფილაქტიკის საკითხებზე, ზოგიერთ ბაქტერიაზე, მათი ბაქტერიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის პროფილაქტიკის შესახებ. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 14 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია.

ბორის ყურაშვილი
(1912-2007)
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი ზოოლოგიის სპეციალობით 1937 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი 1946 წელს.

1937-1947წწ. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბიოლოგია-პარაზიტოლოგიის კათედრაზე ასისტენტად, 1945 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1947 წლიდან პარაზიტოლოგიის ლაბორატორიის გამგედ, 1964-1989წწ. იყო ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, 1957 წლიდან შეთავსებით მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ზოოლოგიის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე, "საქპატენტიდან" მიღებული აქვს პატენტი გამოგონებაზე - "წინამდებარე ჯირკვლის დაავადებების სამკურნალო საშუალება", მის მიერ შექმნილია პრეპარატი "პროსტასექსინი". ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

1984 წლიდან იყო ბულგარეთის პარაზიტოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება, საპატიო წევრი , საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, წევრ-კორესპონდენტი .